4408-04-2-2-202004240853

N 04-2/4408
24/04/2020

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორს
ბატონ გიორგი კოხრეიძეს

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შორენა ღლონტის, მაია მერკვილაძისა და თეონა ბაკურიძის შრომითი უფლებების აღდგენის თაობაზე

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო გიორგი,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში მიმდინარეობს საქმისწარმოება №3215/20 საქმესთან დაკავშირებით, რომელიც შეეხება სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ (შემდგომში - აჭარის ტელევიზია) ახალი ამბების სამსახურში დაკავებული თანამდებობებიდან შორენა ღლონტის, მაია მერკვილაძისა და თეონა ბაკურიძის გათავისუფლების კანონიერებას.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ წინამდებარე საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევის შედეგად, გამოიკვეთა, რომ ადგილი აქვს განმცხადებლების შრომის თავისუფლების დარღვევას.

1. ფაქტობრივი გარემოებები:

1.1. შორენა ღლონტის საქმე

აჭარის ტელევიზიის მრჩეველთა საბჭოს წევრმა, თამილა დოლიძემ 2020 წლის 5 თებერვალის №02-19/336 განცხადებით, ტელეკომპანიის დირექტორს, რეაგირების მიზნით, გადაუგზავნა საერთაშორისო საქმეთა ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის

დირექტორსა და მაუწყებლის ახალი ამბების სამსახურის უფროს შორენა ღლონტს შორის 2019 წლის თებერვალში დადებული ხელშეკრულება.

დასახელებული ხელშეკრულების თანახმად, შორენა ღლონტს დაეკისრა, დამკვეთის მითითებითა და შემდგომი დასტურით/მოწონებით, მოემზადებინა სატელევიზიო ეთერში განსათავსებელი გადაცემა. მოსამზადებელი გადაცემის ზოგად შინაარსად განისაზღვრა ქალაქ ბათუმის თვითმმართველობის საქმიანობის შეფასება ქალაქის ურბანული განვითარების ჭრილში.

ხელშეკრულება, სხვა მასალებთან ერთად, თამილა დოლიძემ 2019 წლის 4 ნოემბერს გამოითხოვა დირექტორის მოვალეობის შემსრულებლისგან, რომლისგანაც მოთხოვნილი დოკუმენტაციის ასლები ამავე წლის 11 ნოემბერის №02-19/2722 წერილით მიიღო.

2020 წლის 5 თებერვალს, თამილა დოლიძისგან მიღებული განცხადებასთან დაკავშირებით, ტელეკომპანიის დირექტორმა დაიწყო მოკვლევა, რომლის ფარგლებშიც, ახსნა-განმარტებები და შესაბამისი დოკუმენტაცია გამოითხოვა ადმინისტრაციის,[1] სატელევიზიო მაუწყებლობის განვითარების სამსახურისა[2] და ფინანსური ეფექტიანობის სამსახურის[3] უფროსებისგან.

დასახელებული პირებისგან მიღებული საპასუხო განცხადებების შესაბამისად, გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები: 1. 2018-2019 წლებში მაუწყებლის დონორების მიერ დაფინანსებული პროექტების ჩამონათვალში არ ფიქსირდებოდა საერთაშორისო საქმეთა ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი, რადგან მაუწყებელს მისგან დაფინანსება არ მიუღია და იგი მასზე ფინანსურ გავლენას ვერ მოახდენდა;[4] 2. სადავო ხელშეკრულების საფუძველზე მომზადებული გადაცემა „ახალი სივრცე“,[5] რომელიც 2019 წლის 28 თებერვალს გავიდა ეთერში, აღნიშნული დღის საეთერო ბადეში, მისი შედგენის ეტაპზე, გათვალისწინებული არ ყოფილა, რადგან პროექტი იყო შეჩერებული. 2019 წლის 28 თებერვალს თანამგზავრის რეჟისორმა საღამო საათებში მიიღო ინფორმაცია სააპარატოდან, რომ 22:00 საათზე გავიდოდა გადაცემა „ახალი სივრცე“, რის შედეგადაც, მან, განვითარების სამსახურთან შეთანხმებით, ხელით ჩაასწორა პროგრამის ნაბეჭდი ვერსია;[6] 3. გადაცემა „ახალ სივრცესთან“ დაკავშირებით, ტელევიზიაში არ ინახებოდა მესამე პირებთან მიმართებით რაიმე ტიპის ანგარიშვალდებულების ამსახველი დოკუმენტაცია, გარდა წამყვანის შრომითი ხელშეკრულებისა.[7]

აჭარის ტელევიზიის დირექტორის 2020 წლის 11 თებერვლის №02-26/393 წერილით, ზემოხსენებული კორესპონდენციები, დანართებთან ერთად, გაეგზავნა შორენა ღლონტს და განემარტა, რომ მრჩეველთა საბჭოს წევრის, თამილა დოლიძის განცხადებასთან დაკავშირებით, მიმდინარეობდა დისციპლინური წარმოება. აღნიშნულის გათვალისწინებით, მას ეთხოვა, რომ გონივრულ ვადაში (არაუგვიანეს სამი კალენდარული დღისა) წარმოედგინა წერილობითი მოსაზრება მოცემული განცხადების თაობაზე. გასათვალისწინებელია, რომ დირექტორის წერილი არ შეიცავდა მითითებას შორენა ღლონტის მიერ ჩადენილი შესაძლო გადაცდომის სახესა თუ ხასიათზე ან/და იმ სამართლებრივ აქტზე/ნორმაზე, რომლის შესაძლო დარღვევასაც ჰქონდა ადგილი სადავო ხელშეკრულების დადების შედეგად.

---

[1] აჭარის ტელევიზიის დირექტორის 2020 წლის 5 თებერვლის №02-26/338 წერილი.
[2] აჭარის ტელევიზიის დირექტორის 2020 წლის 6 თებერვლის №02-26/347 წერილი.
[3] აჭარის ტელევიზიის დირექტორის 2020 წლის 10 თებერვლის №02-26/369 წერილი.
[4] აჭარის ტელევიზიის ადმინისტრაციის უფროსის 2020 წლის 6 თებერვლის №02-26/344 წერილი.
[5] გადაცემა ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <http://ajaratv.ge/video/5596> [ბოლოს ნანახია: 14.04.2020].
[6] აჭარის ტელევიზიის სატელევიზიო მაუწყებლობის განვითარების სამსახურის უფროსის 2020 წლის 7 თებერვლის №202-26/349 წერილი.
[7] აჭარის ტელევიზიის ფინანსური ეფექტიანობის სამსახურის უფროსის 2020 წლის 10 თებერვლის №02-26/384 წერილი.

შორენა ღლონტმა, 2020 წლის 14 თებერვლის №02-26/444 წერილით, დირექტორს აცნობა, რომ მისთვის ბუნდოვანი იყო დაწყებული დისციპლინური წარმოების შინაარსი, თუ რაში გამოიხატებოდა დისციპლინური გადაცდომა მისი მხრიდან და რა კონკრეტული გარემოებების დადგენა ან უარყოფა მოეთხოვებოდა მას. ამასთან, შორენა ღლონტის განმარტებით, სადავო ხელშეკრულების დადების პროცესი მიმდინარეობდა მოქმედი დირექტორის ჩართულობის ფონზე, ხოლო ხელშეკრულების არსებობის თაობაზე ინფორმირებულნი იყვნენ დისციპლინურ წარმოებაზე პასუხისმგებელი პირები. აღნიშნულის საფუძველზე, იგი ხაზს უსვამდა დისციპლინური წარმოების დაწყების ვადის გასვლას.

აჭარის ტელევიზიის მრჩეველთა საბჭოს წევრის, თამილა დოლიძის №02-19/336 განცხადებასთან დაკავშირებით მიმდინარე დისციპლინური წარმოება 2020 წლის 28 თებერვალს დასრულდა, როდესაც აჭარის ტელევიზიის დირექტორმა გამოსცა №02-05/20 ბრძანება ახალი ამბების სამსახურის უფროსის პოზიციიდან შორენა ღლონტის გათავისუფლების შესახებ. ბრძანების თანახმად, შორენა ღლონტმა გადაცემის მომზადების სანაცვლოდ მიიღო თანხა, მაუწყებლის ფინანსური ეფექტიანობის სამსახურის გვერდის ავლით, რის შედეგადაც, თავისი უფლებამოსილება გამოიყენა მაუწყებლის კანონიერი ინტერესების საწინააღმდეგოდ, გამორჩენის მიღების მიზნით, რითიც ორგანიზაციას მიადგა ზიანი. აღნიშნულის გათვალისწინებით, შორენა ღლონტის ქმედებები შრომითი შინაგანაწესის არსებით, უხეშ დარღვევად იქნა მიჩნეული, რაც მისი სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერ საფუძვლად განიმარტა.

მოგვიანებით, 2020 წლის 2 მარტს, აჭარის ტელევიზიის დირექტორის №02-05/21 ბრძანების საფუძველზე, შორენა ღლონტი მაუწყებლის კონსულტანტის შტატგარეშე პოზიციაზე დაინიშნა.

1.2. მაია მერკვილაძის საქმე

აჭარის ტელევიზიის დირექტორის 2020 წლის 13 თებერვლის №02-19/431 და 19 თებერვლის №02-19/506 წერილების საფუძველზე, მრჩეველთა საბჭომ 2020 წლის 19 თებერვლის №01-01/03 გადაწვეტილებით,[8] ახალი საშტატო განრიგი და თანამშრომელთა თანამდებობრივი სარგოები დაამტკიცა, რაც 2020 წლის 24 თებერვალიდან ამოქმედდა.[9]

საშტატო ცვლილებები სულ 4 სამსახურს და 6 საშტატო ერთეულს შეეხო. კერძოდ, გაუქმდა შიდა აუდიტის სამსახურის უფროსის მოადგილის, ფინანსური ეფექტიანობის სამსახურის უფროსის მოადგილის, ახალი ამბების სამსახურის უფროსის 2 მოადგილის და საავტორო-შემოქმედებითი გადაცემების სამსახურის უფროსის 2 მოადგილის პოზიცია. აღნიშნულის სანაცვლოდ, შიდა აუდიტის სამსახურში შეიქმნა აუდიტორის, ფინანსური ეფექტიანობის სამსახურში - სახაზინო ურთიერთობების მენეჯერის, ახალი ამბების სამსახურში - 2 რედაქტორის, ხოლო საავტორო-შემოქმედებითი გადაცემების სამსახურში - 2 მენეჯერის პოზიცია. დირექტორის მითითებით, საშტატო ცვლილებები მიზნად ისახავდა ეფექტური მართვის სისტემის ჩამოყალიბებას,[10] თუმცა

---

[8] გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://ajaratv.ge/files/shares/pdf/1113.pdf> [ბოლოს ნანახია: 14.04.2020].

[9] აღნიშნულის საფუძველზე, ძალადაკარგულად გამოცხადდა მრჩეველთა საბჭოს 2019 წლის 21 ივნისის №01-01/09 გადაწყვეტილებით დამტკიცებული საშტატო განრიგი და თანამდებობრივი სარგოები, რომელიც ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://ajaratv.ge/files/shares/bordi/1111.pdf> [ბოლოს ნანახია: 14.04.2020].

[10] აჭარის ტელევიზიის დირექტორის 2020 წლის 2 მარტის №02-22/100 და 6 მარტის №02-22/108 წერილები. დირექტორის მოხსენებითი ბარათის შესაბამისად, ცვლილებების განხორციელების მიზანს წარმოადგენდა ხელმძღვანელი პოზიციების ოპტიმიზაცია, კომუნიკაციისა და კოორდინაციის გამარტივება როგორც სტრუქტურის ვერტიკალური, ასევე ჰორიზონტალური მიმართულებით. ამასთან, მოხსენებითი ბარათის შესაბამისად, ცვლილება მიზნად ისახავდა სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების პასუხისმგებლობის გაზრდას, რაც გამოიხატება ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტის პერსონალურ პასუხისმგებლობაში.

მისი მხრიდან არ მომხდარა განმარტება ან/და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენა, თუ რა განსხვავებული უფლებამოსილებებით აღიჭურვებოდნენ ახლად შექმნილი კადრები, რაც დასახული ამოცანის შესრულებას უზრუნველყოფდა.[11]

2020 წლის 19 თებერვლამდე ზემოხსენებული თანამდებობებიდან ვაკანტური იყო შიდა აუდიტის სამსახურის უფროსის მოადგილისა და ახალი ამბების სამსახურის უფროსის ერთ-ერთი მოადგილის შტატი.[12] ამდენად, ცვლილებები შეეხო მაუწყებელში დასაქმებულ 4 პირს, მათ შორის, მაია მერკვილაძეს, რომელსაც ახალი ამბების სამსახურის უფროსის მოადგილის პოზიცია ეკავა. მოსალოდნელი შედეგების თაობაზე მისი წერილობითი გაფრთხილება ტელეკომპანიის დირექტორის 2020 წლის 14 თებერვლის №02-26/446 წერილით განხორციელდა.

საგულისხმოა, რომ ცვლილებების შემდეგ, ერთი მხრივ, ახალი ამბების სამსახურში ახლადშექმნილი რედაქტორის პოზიციასა და, მეორე მხრივ, მაია მერკვილაძის მიერ დაკავებული უფროსის მოადგილის გაუქმებული შტატის მიმართ დადგენილი მოვალეობები (შესასრულებელი სამუშაო), შინაარსობრივი თვალსაზრისით არსებითად მსგავსი დარჩა. დასახელებული პოზიციების მიმართ განსაზღვრულ მოვალეობებს შორის არსებული მცირედი განსხვავებები მხოლოდ ტექნიკური ხასიათს ატარებს (მაგ. თუ უფროსის მოადგილეს კონკრეტული საქმიანობის განხორციელებაში რედაქტორის მხარდაჭერა ევალებოდა, რედაქტორს იმავე საქმიანობის განხორციელებაში მხარდაჭერა დაეკისრა ადრესატის მითითების გარეშე), გარდა იმ უფლებამოსილებისა, რაც სარედაქციო საბჭოზე წინადადებებისა და რეაგირების საკითხის დაყენებას გულისხმობს და უფროსის მოადგილისგან განსხვავებით, რედაქტორს არ აქვს მინიჭებული. თუმცა, აღსანიშნავია, რომ აჭარის ტელევიზიის მრჩეველთა საბჭოს 2020 წლის 6 მარტს სხდომის მიმდინარეობისას, მისი ერთ-ერთი წევრის, თამარ წილოსანის განმარტებით, მაუწყებელში სარედაქციო საბჭო ბოლო წლების განმავლობაში არ ფუნქციონირებდა.[13]

რამდენადაც მაუწყებელში რეორგანიზაციამდე და მის შემდგომ პერიოდში, არ ყოფილა მიღებული ახალი ამბების სამსახურის დებულება და მასში დასაქმებული პირების სამუშაო აღწერილობები,[14] ახლადშექმნილი რედაქტორის პოზიციისა და სამსახურის უფროსის მოადგილის გაუქმებული შტატის მიმართ დადგენილი მოვალეობების არსებითი მსგავსება დადასტურდა შესაბამისი შრომითი ხელშეკრულებების[15] ანალიზის საფუძველზე.

მიუხედავად იმისა, რომ ახალი ამბების სამსახურის უფროსის მოადგილის შტატის გაუქმების შედეგად, მაუწყებელში შეიქმნა არსებითად მსგავსი ფუნქციების მატარებელი პოზიცია, 2020 წლის 24 თებერვალს, მაია მერკვილაძეს აჭარის ტელევიზიის დირექტორმა შესთავაზა დასაქმება არხის მთავარი საზოგადოებრივი პოლიტიკური თოქ-შოუს პროდიუსერ/რედაქტორის და რადიოს საინფორმაციო გამოშვების რედაქტორის პოზიციებზე.[16] შეთავაზებას თან ერთვოდა შესაბამისი შრომითი ხელშეკრულებების პროექტები. მერკვილაძის მითითებით, მიუხედავად იმისა, რომ არც

---

[11] აჭარის ტელევიზიის მრჩეველთა საბჭოს 2020 წლის 19 თებერვლის სხდომის ჩანაწერი ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/3abDixa> [ბოლოს ნანახია: 14.04.2020].

[12] აჭარის ტელევიზიის დირექტორის 2020 წლის 23 მარტის №02-22/132 წერილი.

[13] იხ. აჭარის ტელევიზიის მრჩეველთა საბჭოს 2020 წლის 6 მარტის სხდომის ჩანაწერი 1:41:00-დან, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/3b6nywC> [ბოლოს ნანახია: 14.04.2020].

[14] აჭარის ტელევიზიის დირექტორის 2020 წლის 23 მარტის №02-22/132 წერილი.

[15] ახალი ამბების სამსახურის ყოფილ უფროსთან, მაია მერკვილაძესთან, 2017 წლის აპრილში დადებული №02-15/2017-235 შრომის ხელშეკრულება; ახალი ამბების სამსახურის რედაქტორთან, ნინო ხაჟომიასთან 2020 წლის 24 თებერვალს დადებული №02-15/2020-05 შრომის ხელშეკრულება; და ახალი ამების სამსახურის რედაქტორთან, ცირა სურმანიძესთან 2020 წლის 24 თებერვალს დადებული №02-15/2020-5/1 შრომის ხელშეკრულება.

[16] აჭარის ტელევიზიის 2020 წლის 24 თებერვლის №02-24/87 და 25 თებერვლის №02-26/90 წერილები.

ერთი მათგანი წარმოადგენდა მის მიერ დაკავებული თანამდებობის ტოლფას პოზიციას, იგი იძულებული იყო, გამოეხატა თანხმობა ორივე პოზიციის ერთდროულად ან/და დირექტორის შერჩევით, რომელიმე მათგანის დაკავების თაობაზე.

შედეგად, აჭარის ტელევიზიის დირექტორის 2020 წლის 25 თებერვლის №02-05/16 ბრძანების შესაბამისად, მაია მერკვილაძე 2020 წლის 24 თებერვლიდან გადაყვანილ იქნა რადიოს საინფორმაციო გამოშვების რედაქტორის შტატგარეშე პოზიციაზე განუსაზღვრელი ვადით.

საგულისხმოა, რომ მაია მერკვილაძისგან განსხვავებით, დანარჩენი სამი პირი, რომელთა შტატებიც მრჩეველთა საბჭოს 2020 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილების საფუძველზე გაუქმდა, იმავე სამსახურებში ახლადშექმნილ პოზიციებზე იქნა გადაყვანილი. კერძოდ, ფინანსური ეფექტიანობის სამსახურის უფროსის ყოფილი მოადგილე დაინიშნა სახაზინო სამსახურთან ურთიერთობის მენეჯერად, საავტორო-შემოქმედებითი გადაცემების სამსახურის უფროსის ერთ-ერთი მოადგილე - შემოქმედებითი მიმართულების მენეჯერად, ხოლო უფროსის მეორე მოადგილე - საორგანიზაციო მიმართულების მენეჯერად.[17]

1.3. თეონა ბაკურიძის საქმე

2020 წლის 6 მარტს აჭარის ტელევიზიაში დაიწყო მოკვლევა ამავე თარიღში ახალი ამბების სამსახურის სამუშაო სივრცეში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით. აღნიშნული ფაქტის თაობაზე, 2020 წლის 6 მარტს მრჩეველთა საბჭოს სხდომის მიმდინარეობისას პირველი კომენტარები გააკეთეს თვითმხილველებმა: პირველადი ორგანიზაციის პროფკომიტეტის თავმჯდომარე ომარ ბერიძემ, ახალი ამბების სამსახურის რედაქტორმა, ფირუზ ბოლქვაძემ და მაუწყებლის თანამშრომელმა, ლალი ბერძენიშვილმა.[18]

კერძოდ, სხდომის მიმდინარეობისას გაჟღერებული განცხადებების თანახმად, ახალი ამბების სამსახურის სამუშაო სივრცეში თანამშრომლების ნაწილი დაუპირისპირდა ამავე სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელ გიორგი აბაზაძეს, რომლის ჯანმრთელობის მდგომარეობა აღნიშნული ინციდენტის შემდეგ გაუარესდა და საჭირო გახდა მისი სტაციონარში გადაყვანა. ლალი ბერძენიშვილის განმარტებით, თანამშრომლების გარკვეული ნაწილის უკმაყოფილების საგანი გიორგი აბაზაძის მხრიდან უფროსის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობის დაკავების შესახებ გადაწყვეტილების მიღება იყო, რაც, მათი მოსაზრებით, სხვა პირის პოზიციას წარმოადგენდა. გარდა ამისა, ბერძენიშვილის მითითებით, თანამშრომლები პროტესტს გამოხატავდნენ გიორგი აბაზაძის მიერ დაფაზე გასაშუქებელი თემების ერთპიროვნულად ჩამოწერასთან დაკავშირებით, უსვამდნენ სხვადასხვა სახის კრიტიკულ შეკითხვას, რაც მის დისკრედიტაციას ისახავდა მიზნად და ახდენდნენ მისი ასაკის ხაზგასმას. გარდა ამისა, ფირუზ ბოლქვაძე, ლალი ბერძენიშვილის მსგავსად, აღწერდა რთულ სამუშაო პირობებს, რასაც გარკვეული თანამშრომლები მას და გიორგი აბაზაძეს უქმნიდნენ შესაბამისი პოზიციების დაკავების შემდეგ.

აღსანიშნავია, რომ სხდომაზე თვითმხილველებს არ დაუსახელებიათ კონკრეტული ადამიანები, რომელთა მხრიდანაც ადგილი ჰქონდა შესაძლო გადაცდომის ჩადენის ფაქტს 2020 წლის 6 მარტს. იდენტიფიცირებად პირზე (კერძოდ, თეონა ბაკურიძეზე) მითითება განხორციელდა მხოლოდ

---

[17] სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორის 2020 წლის 23 მარტის №02-22/132 წერილი.

[18] იხ. აჭარის ტელევიზიის მრჩეველთა საბჭოს 2020 წლის 6 მარტის სხდომის ჩანაწერი 1:23:00-დან, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://www.youtube.com/watch?v=czHbHKweWzQ> [ბოლოს ნანახია: 14.04.2020].

ერთხელ, როდესაც ფირუზ ბოლქვაძემ განაცხადა 6 მარტს მთავარი საინფორმაციო გამოშვების წამყვანის მიერ მასთან მუშაობაზე უარის თქმის თაობაზე.[19]

მოკვლევის დაწყების დღესვე, 2020 წლის 6 მარტს, აჭარის ტელევიზიის დირექტორმა გამოსცა №02-05/27 ბრძანება ახალი ამბების სამსახურის გამოშვების წამყვან-რეპორტიორის, თეონა ბაკურიძისთვის 2019 წლის 9 მარტიდან შრომითი ხელშეკრულებით გაწერილი კონკრეტული საქმიანობის განხორციელების დროებით აკრძალვისა და მისი სატელევიზიო ეთერიდან ჩამოშორების შესახებ.

მითითებული ბრძანების შესაბამისად, როდესაც გიორგი აბაზაძე იმყოფებოდა საინფორმაციო სამსახურის ოთახში და იწყებდა დღის გეგმის დაწერას, თეონა ბაკურიძის მხრიდან ადგილი ჰქონდა დაუმორჩილებლობას, სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობას, ის ახდენდა ზეწოლას ფსიქოლოგიურად და აიძულებდა გიორგი აბაზაძეს, განცხადების საფუძველზე დაეტოვებინა პოზიცია. აღნიშნულის დასადასტურებლად ბრძანება მიუთითებს საბჭოს სხდომაზე ფირუზ ბოლქვაძისა და ლალი ბერძენიშვილის მიერ გაკეთებულ განმარტებებზე.

გასათვალისწინებელია, რომ 2020 წლის 6 მარტს, ინციდენტთან დაკავშირებით, აჭარის ტელევიზიის დირექტორს წერილობითი განმარტება (№02-26/719 წერილი) მხოლოდ მაუწყებლის პირველადი ორგანიზაციის პროფკომიტეტის თავმჯდომარის, ომარ ბერიძისგან ჰქონდა მიღებული. მისი განცხადების შესაბამისად, დილის 10 საათზე ახალი ამბების სამსახურის ოთახიდან მოესმა შელაპარაკების ხმა, ხოლო კართან მისვლის შემდეგ დაინახა გიორგი აბაზაძე, „რომელიც იჯდა რედაქტორის მაგიდასთან და მას უყვიროდნენ თეონა ხარაბაძე და თეონა ბაკურიძე“. მისივე განმარტებით, ოთახში იმყოფებოდნენ სხვა რეპორტიორებიც და „ისინი გიორგის მიმართ ახდენდნენ ზეწოლას, მიმართავდნენ შეურაცხმყოფელი სიტყვებით და სთხოვდნენ პოსტის დატოვებას“. ომარ ბერიძის მითითებით, ოთახის დატოვების შემდეგ, გიორგი აბაზაძემ კანცელარიაში მიიღო პირველადი სამედიცინო დახმარება, თუმცა, იგი დიდი ხნის განმავლობაში იყო აღელვებული, გახდა შეუძლოდ და შედეგად, მოხდა სასწრაფო სამედიცინო ბრიგადის გამოძახება, რის გამოც ვერ შეძლო მრჩეველთა საბჭოს სხდომაზე დასწრება და მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით განმარტებების გაკეთება.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, აჭარის ტელევიზიის დირექტორს გიორგი აბაზაძემ 2020 წლის 12 მარტის №02-26/781 განცხადებით მიმართა. მისი განმარტებით, 2020 წლის 6 მარტს სამსახურში გამოცხადდა დაახლოებით 09:00 საათზე, მოიძია დღის აქტუალური თემები და ისინი დაფაზე ჩაინიშნა. აბაზაძის მითითებით, სწორედ აღნიშნული თემებისგან ერთ-ერთმა გამოიწვია ადგილზე მოგვიანებით გამოცხადებული თანამშრომლების აგრესია, რომლებიც აპროტესტებდნენ მისი მხრიდან გადაცემის ერთპიროვნულად დაგეგმვას.

დირექტორისთვის წარდგენილ განცხადებაში გიორგი აბაზაძე აღნიშნავდა, რომ თეონა ბაკურიძემ შემოსვლისთანავე დაიწყო ხმამაღალი საუბარი, უწოდა უსირცხვილო და არაკომპეტენტური, ეკითხებოდა, სრცხვენოდა თუ არა იქ ყოფნა და რატომ მიუთითა წინა დღის გრაფიკში 20-საათიანი გამოშვების რედაქტორად ფირუზ ბოლქვაძე, ამასთან, არაერთხელ გაუსვა ხაზი მის ასაკს, ამბობდა, რომ არ მოამზადებდა გამოშვებას, არ შეეგუებოდა მის ყოფნას „ამ ადგილას“, არ ითანამშრომლებდა მასთან და სთხოვდა ახსნა-განმარტების დაწერას. გარდა ამისა, გიორგი აბაზაძე განცხადებაში მიუთითებს სხვა თანამშრომლებზე (ცალკეულ შემთხვევებში, შესაბამისი

[19] იხ. აჭარის ტელევიზიის მრჩეველთა საბჭოს 2020 წლის 6 მარტის სხდომის ჩანაწერი 1:32:15-დან.

ვინაობების დასახელებით), რომლებიც ჩართულნი იყვნენ დაპირისპირებაში და აღწერს მათ ქმედებებს.

გიორგი აბაზაძის განმარტებით, სიტუაცია შედარებით დამშვიდდა ოთახში დაცვის თანამშრომლის გამოცხადების შედეგად, მოგვიანებით კი, მან ჯერ სხვა სამუშაო ოთახში, ხოლო შემდეგ, რადიოს შენობაში გადაინაცვლა, სადაც მრჩეველთა საბჭოს სხდომა იწყებოდა 12:00 საათზე, თუმცა მასზე დასწრება ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო ვერ შეძლო.

აჭარის ტელევიზიის დირექტორმა თეონა ბაკურიძეს 2020 წლის 6 მარტის №02-26/720 წერილით მიმართა და გამოითხოვა მისგან ინფორმაცია ახალი ამბების სამსახურის ოთახში მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით. აღნიშნული კორესპონდენცია არ შეიცავდა განმარტებას დისციპლინური წარმოების მიმდინარეობისა და სადავო ქმედებების შინაარსის თაობაზე.

თეონა ბაკურიძემ, 2020 წლის 11 მარტის №02-32/761 საპასუხო განცხადებით განმარტა, რომ 2020 წლის 6 მარტს მისთვის ცნობილი გახდა გიორგი აბაზაძისა და ფირუზ ბოლქვაძის მიერ, ჟურნალისტებთან განხილვისა და თათბირის გარეშე, დაფაზე კონკრეტული თემების (შემდგომში რეპორტაჟებად მოსამზადებელი საკითხები) ჩამოწერისა და 20-საათიანი გამოშვების გეგმის წერის დაწყების შესახებ. მისი მითითებით, რამდენადაც აღნიშნულ პროცესში ჩართვა მის უფლება-მოვალეობაში შედიოდა, გაუჩნდა გონივრული ეჭვი, რომ ახალი ხელმძღვანელები მიზანმიმართულად ცდილობდნენ მისთვის გვერდის ავლას. აღნიშნულიდან გამომდინარე, მან გიორგი აბაზაძეს მიუთითა გამოუცდელობაზე, კითხა, თუ რატომ მოიქცა არაკოლეგიალურად და რატომ დასთანხმდა უფროსის პოზიციას მაშინ, როდესაც ამის გამოცდილება არ აქვს და ხომ არ ახორციელებდნენ მასზე ზეწოლას. ბაკურიძის განმარტებით, სხვა ჟურნალისტებთან ერთად, არაერთი კითხვა დაუსვა გიორგი აბაზაძეს, რის შემდეგაც, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, მშვიდად და გულახდილად საუბრობდნენ, რითიც დაძაბული ტონი ნელ-ნელა განიმუხტა.

რაც შეეხება №02-05/27 ბრძანებაში მითითებულ გარემოებას დაუმორჩილებლობისა და სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობის შესახებ, თეონა ბაკურიძის განმარტებით, აღნიშნული არ შეესაბამება სიმართლეს, რადგან გიორგი აბაზაძესა და ფირუზ ბოლქვაძეს 6 მარტს მისთვის დავალება არ მიუციათ. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, ბაკურიძემ მიუთითა, რომ წინა დღეს, მან ფირუზ ბოლქვაძესთან ერთად იმუშავა საღამოს გამოშვების მომზადებაზე და არ დაურღვევია ერთობლივად შედგენილი გეგმა, ხოლო 2020 წლის 6 მარტს, ინციდენტის შემდეგ, რედაქტორი ოთახში არ გამოჩენილა. გარდა ამისა, თეონა ბაკურიძის მითითებით, 6 მარტს, მთავარი საინფორმაციო გადაცემის ეთერში გასვლამდე დაახლოებით 50 წუთით ადრე ჩაბარდა დირექტორის გადაწყვეტილება ტელეეთერიდან ჩამოშორების შესახებ, თუმცა, ძლიერი სტრესის მიუხედავად, მაინც შეძლო სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება და გადაცემის წაყვანა.[20]

აჭარის ტელევიზიის დირექტორის მოთხოვნის საფუძველზე, ახალი ამბების სამსახურში 6 მარტს მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, 11-13 მარტს, ახსნა-განმარტებები წარმოადგინეს აგრეთვე ინციდენტის თვითმხილველმა შემდეგმა თანამშრომლებმა: თეონა თურმანიძემ (წამყვან-რეპორტიორი),[21] თეონა ხარაბაძემ (რეპორტიორი);[22] ცირა სურმანიძემ (რედაქტორი);[23] მაია

[20] სიუჟეტი ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <http://adjaratv.ge/article/56347> [ბოლოს ნანახია: 14.04.2020].
[21] 2020 წლის 11 მარტის №02-26/767 წერილი.
[22] 2020 წლის 12 მარტის №02-26/783 წერილი.
[23] 2020 წლის 11 მარტის №02-26/768 წერილი.

მერკვილაძემ (რადიოს საინფორმაციო გამოშვების რედაქტორი)[24] და ქეთევან კაცაძემ (რეპორტიორი).[25]

დასახელებული პირების განცხადებებით იკვეთება, რომ თანამშრომლები გარკვეული პერიოდის განმავლობაში (დაახლოებით, 15-20 წუთი), ახალი ამბების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს დაძაბული ვითარების ფონზე უსვამდნენ შეკითხვებს, მათ შორის, გასაშუქებელი თემების ერთპიროვნულად დაგეგმვის, მათთან კონსულტაციის გარეშე პოზიციის დაკავებისა და სამომავლო გეგმების თაობაზე, ხოლო მოგვიანებით, დიალოგი შედარებით მშვიდად გაგრძელდა, გიორგი აბაზაძე არ აღელვებულა და მშვიდად დატოვა ოთახი. აღსანიშნავია, რომ არც ერთ მათგანს არ მიუთითებია აღნიშნულ პროცესში უშუალოდ თეონა ბაკურიძის მიერ განხორციელებული ქმედებების შესახებ.

2020 წლის 6 მარტს საინფორმაციო სამსახურის ოთახში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით მიმდინარე მოკვლევა 2020 წლის 13 მარტს დასრულდა, როდესაც აჭარის ტელევიზიის დირექტორმა №02-05/29 ბრძანების საფუძველზე, თეონა ბაკურიძე ახალი ამბების სამსახურის წამყვან-რეპორტიორის პოზიციიდან გაათავისუფლა. ბრძანების შესაბამისად, თეონა ბაკურიძემ შეურაცხმყოფელი და დამამცირებელი სიტყვებით მიმართა სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს, ხელი შეუშალა მას სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაში, ასაკობრივი ნიშნით შებღალა მისი ღირსება და პატივი, აბუჩად აიგდო, აპელირებდა, რომ დაიკავა სხვისი პოზიცია, ადანაშაულებდა თანამშრომლების სამსახურიდან დათხოვნის განზრახვაში, აცხადებდა, რომ არ შეასრულებდა სამსახურის უფროსისა და რედაქტორის მითითებებს, წინასწარი განზრახვით თავს აარიდებდა მოვალეობის შესრულებას. გარდა ამისა, ბრძანებაში აღნიშნულია, რომ თეონა ბაკურიძე მიზანმიმართულად აიგნორებდა რედაქტორის მითითებებს, ქმნიდა დაძაბულობას და კონფლიქტურ სიტუაციას, რაც საფრთხის ქვეშ აყენებდა საინფორმაციო სამსახურის გამართულ მუშაობას, მისი მხრიდან ადგილი ჰქონდა ფსიქოლოგიურ ზეწოლას გიორგი აბაზაძესა და ფირუზ ბოლქვაძეზე და მათ აშკარა ბულინგს/მობინგს, რამაც გამოიწვია აბაზაძის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება. თავის მხრივ, აღნიშნული ქმედებები შრომითი ხელშეკრულებისა და შრომის შინაგანაწესის პირობების აშკარა უხეშ დარღვევად შეფასდა.

წინამდებარე საქმეების განხილვის დროს განმცხადებლების მიერ აპარატისთვის მიცემული განმარტებების თანახმად, პირვანდელი პოზიციებიდან მათი გათავისუფლება ემსახურებოდა ტელევიზიის სარედაქციო პოლიტიკის შეცვლას და წარმოადგენდა მაუწყებელში დასაქმებული კრიტიკულად განწყობილი თანამშრომლების დევნის მაგალითს.

2. სამართლებრივი დასაბუთება:

საქართველოს კონსტიტუციით რეგლამენტირებული შრომის თავისუფლება[26] სოციალური სახელმწიფოს პრინციპის რეალიზაციის ერთ-ერთი კომპონენტია,[27] რომელიც, მათ შორის, იცავს უფლებას, განახორციელო, შეინარჩუნო და დათმო სამუშაო, დაცული იყო უმუშევრობისგან და

[24] №02-26/777 წერილი.
[25] 2020 წლის 13 მარტის №02-26/796 წერილი.
[26] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 26.
[27] „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“ (EMC) და „მწვანე ალტერნატივა”, პრაქტიკული სახელმძღვანელო შრომის უფლებისა და გარემოს დაცვის სფეროში, თბილისი, 2015, გვ. 9, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/2UXDsDD> [ბოლოს ნანახია: 14.04.2020].

ისეთი რეგულირებისგან, რომელიც პირდაპირ ითვალისწინებს ან იძლევა სამსახურიდან უსაფუძვლო, თვითნებური და უსამართლო გათავისუფლების საშუალებას.[28]

შრომის უფლება, როგორც მნიშვნელოვანი სოციალური დაცვის გარანტია, აგრეთვე, აღიარებულია მრავალი საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტით,[29] რომელთა შორის ერთ-ერთი ყველაზე მრავლისმომცველი მოწესრიგება ასახულია ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტში. კერძოდ, დასახელებული პაქტის შესაბამისად, სახელმწიფოები აღიარებენ შრომის უფლებას, რომელიც მოიცავს თითოეული ადამიანის შესაძლებლობას, მოიპოვოს საარსებო სახსრები შრომით, რომელსაც თავისუფლად აირჩევს ან რომელზეც თანხმდება.[30] დასახელებული მოწესრიგების ფარგლებში, სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, მიიღონ შესაბამისი ზომები დასაქმებულთა უკანონო გათავისუფლებისგან დასაცავად.[31]

მართალია, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენცია არ შეიცავს პირდაპირ ჩანაწერს შრომის უფლებასთან დაკავშირებით, თუმცა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ამ უფლებას კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებული პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლების მოქმედების სფეროში აქცევს.[32] აღნიშნულს განაპირობებს ის გარემოება, რომ პირადი ცხოვრება მოიცავს პირის უფლებას, ჩამოაყალიბოს და განავითაროს პროფესიული და საქმიანი ხასიათის ურთიერთობები სხვა ადამიანებთან.[33] ამდენად, პრეცედენტული სამართალი არაერთ მნიშვნელოვან განმარტებას აკეთებს შრომითი უფლებების დაცვის თვალსაზრისით, მათ შორის, დაკავებული თანამდებობიდან უკანონო გათავისუფლების კონტექსტში, რაც რელევანტური გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევისა და გონივრული დასაბუთების გარეშე, გაუმართლებლად მიიჩნევა.[34]

საქართველოს კონსტიტუციისა და საერთაშორისო შეთანხმებების საფუძველზე, დასაქმებულთა უფლებების დაცვის გარანტიებს საქართველოს შრომის კოდექსი ადგენს, რომელში ასახული მოწესრიგებაც სწორედ ზემოხსენებული სტანდარტების გათვალისწინებით განიმარტება.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საერთო სასამართლოები ხაზს უსვამენ, რომ საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლით მხარისთვის მინიჭებული შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება არ არის შეუზღუდავი და არ შეიძლება მისი გაგება, როგორც დამსაქმებლის ცალმხრივი

---

[28] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის №2/2/389 გადაწყვეტილება საქმეზე *„საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“*, II.პ.19

[29] მათ შორის, იხ. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, ევროპის სოციალური ქარტია, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის №158-ე კონვენცია დასაქმების შეწყვეტის შესახებ.

[30] ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, მუხლი 6, ნაწილი 1.

[31] გაეროს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტი (CESCR), ზოგადი კომენტარი №18: შრომის უფლება (პაქტის მე-6 მუხლი), 6 თებერვალი 2006, E/C.12/GC/18, პარ. 35, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/2xjkoXB> [ბოლოს ნანახია: 14.04.2020].

[32] ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის გზამკვლევი, 2019 წლის 31 აგვისტო, პარ. 130-134, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/3egJV4f> [ბოლოს ნანახია: 14.04.2020]; ზ. შველიძე, შრომით დავებზე საქართველოს სასამართლო პრაქტიკა (გადაწყვეტილებათა კრებული), თბილისი, 2020, გვ. 138, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/2xiX901> [ბოლოს ნანახია: 14.04.2020].

[33] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2013 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე *Oleksandr Volkov v. Ukraine*, პარ. 165.

[34] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2010 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Özpinar v. Turkey*, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/34ARVZK> [ბოლოს ნანახია: 14.04.2020].

უფლება, უსაფუძვლოდ გაათავისუფლოს დასაქმებული.[35] ნორმის სხვაგვარი ინტერპრეტაცია წაახალისებდა დამსაქმებლის თვითნებობას, ხოლო სასამართლოსთვის მიმართვის უფლებას აზრს დაუკარგავდა.[36] ამდენად, დამსაქმებელს ევალება მისი გადაწყვეტილების მყარი და გადაუწონადი მტკიცებულებებით დასაბუთება.[37]

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, იმისთვის, რომ შრომის უფლების შეზღუდვა მართლზომიერად ჩაითვალოს, დაკმაყოფილებული უნდა იყოს შემდეგი სამი კრიტერიუმი:[38]

1. შეზღუდვა გათვალისწინებული უნდა იყოს კანონით - რაც ნიშნავს, რომ მის საფუძველს საქართველოს შრომის კოდექსი უნდა იძლეოდეს;

2. შეზღუდვა უნდა ემსახურებოდეს ლეგიტიმურ მიზანს - აღნიშნული დამსაქმებლის შინაგანაწესის განუხრელ დაცვაში მდგომარეობს, რაც საბოლოოდ სამსახურის შეუფერხებელ მუშაობას უზრუნველყოფს;

3. შეზღუდვა უნდა იყოს პროპორციული - რაც გულისხმობს, რომ დასაქმებულის გათავისუფლება გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მის მიმართ, განხორციელებული ხასიათიდან გამომდინარე, უფრო მსუბუქი სანქციის შეფარდებას აზრი აქვს დაკარგული. დასაქმებულის მიერ განხორციელებული ყოველი დარღვევა უნდა შეფასდეს მისი სიხშირის, სიმძიმისა და რაც მთავრია, შედეგობრივი თვალსაზრისით.

2.1. შორენა ღლონტის საქმე

აჭარის ტელევიზიის დირექტორის 2020 წლის 28 თებერვლის №02-05/20 ბრძანების შესაბამისად, შორენა ღლონტს დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობის ყველაზე მძიმე ზომა და გათავისუფლდა ახალი ამბების სამსახურის უფროსის პოზიციიდან საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, რაც გულისხმობს დასაქმებულის მიერ მისთვის ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით ან კოლექტიური ხელშეკრულებით ან/და შრომის შინაგანაწესით დაკისრებული ვალდებულების უხეშ დარღვევას.

მოცემულ შემთხვევაში, სადავო ქმედებას წარმოადგენდა შორენა ღლონტის მიერ 2019 წლის თებერვალში საერთაშორისო საქმეთა ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის საქართველოს ფილიალთან ხელშეკრულების დადება, რომლის საფუძველზეც, ეთერში გადასაცემი გადაცემის მომზადების სანაცვლოდ, მიიღო ანაზღაურება მაუწყებლის ფინანსური ეფექტიანობის სამსახურის გვერდის ავლით. შესაბამისად, შორენა ღლონტს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრა სადავო ქმედების ჩადენიდან 1 წლის გასვლის შემდეგ.

გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს შრომის კოდექსი არ განსაზღვრავს დასაქმებულისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძვლებს, ვადას და აღნიშნულს სრულად მიაკუთვნებს შინაგანაწესით გადასაწყვეტ საკითხთა წრეს.[39]

---

[35] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 21 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას–1199-1141-2014.

[36] *იქვე.*

[37] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 31 ოქტომბრის №ას-103-2019 განჩინება.

[38] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 15 თებერვლის №ას-1210-2018 გადაწყვეტილება.

[39] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 3 თებერვლის №ას-1236-1159-2015 განჩინება.

აჭარის ტელევიზიის შრომის შინაგანაწესის მე-15 მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, დისციპლინური სანქცია დასაქმებულს უნდა შეეფარდოს არა უგვიანეს 1 თვისა მის მიერ შრომის დისციპლინის დარღვევის გამოვლენის დღიდან. გასათვალისწინებელია, რომ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების კონკრეტული გონივრული ვადით შემოფარგვლა უზრუნველყოფს სანქციის გამოყენების მიზნის მიღწევას, რაც, ერთი მხრივ, არსებული ვითარების სწრაფ გამოსწორებაში და დასაქმებულის კომპეტენციებისა თუ უნარების გაუმჯობესებაში, ხოლო მეორე მხრივ, სხვა დასაქმებულების მიერ იმავე დარღვევის ჩადენის თავიდან აცილებაში გამოიხატება.[40]

შორენა ღლონტის განმარტებით, სადავო ხელშეკრულებისა და მის საფუძველზე მომზადებული გადაცემის შესახებ ინფორმირებული იყო მაუწყებლის მოქმედი დირექტორი, რომელიც აჭარის ტელევიზიის შრომის შინაგანაწესის შესაბამისად, დისციპლინური სანქციის შეფარდებაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს.[41] აღნიშნულს მოწმობს თავად სადავო ხელშეკრულების მე-2 მუხლის მე-5 პუნქტი, რომელიც დამკვეთსა და სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს შორის შეთანხმების არსებობაზე მიუთითებს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ დავუშვებთ, რომ აღნიშნულ პერიოდში, დირექტორს არ ჰქონდა ინფორმაცია შორენა ღლონტის მხრიდან შესაძლო დარღვევის თაობაზე, სახალხო დამცველის აპარატი საქმისწარმოებისას მიღებული დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე (მათ შორის, იმ გარემოებების მხედველობაში მიღებით, რომ სადავო ხელშეკრულება მაუწყებელში ინახებოდა, ხოლო გადაცემა ეთერში გადაიცა შესაბამისი თანამშრომლების ჩართულობით) ასკვნის, რომ დაკისრებული მენეჯერული ვალდებულების გულმოდგინედ შესრულების პირობებში, მას მსგავსი ინფორმაცია უნდა ჰქონოდა.

ასე რომც არ ყოფილიყო, წარმოდგენილი დოკუმენტაციით იკვეთება, რომ დასახელებული ხელშეკრულება დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა 2019 წლის 11 ნოემბერის №02-19/2722 წერილით გადაუგზავნა მრჩეველთა საბჭოს წევრს, რაც ადასტურებს, რომ აღნიშნული თარიღიდან სადავო ქმედების თაობაზე ინფორმაციას ფლობდა აჭარის ტელევიზიის ხელმძღვანელი ორივე ორგანოს[42] წარმომადგენელი.

ამდენად, განსახილველ შემთხვევაში, შორენა ღლონტს დისციპლინური სანქცია შეეფარდა და დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლდა შრომის შინაგანაწესით ამისთვის დადგენილი ვადის დარღვევით, რაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის[43] შესაბამისად, №02-05/20 ბრძანების ბათილობის საფუძველს წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, სახალხო დამცველი მიზანშეწონილად მიიჩნევს, გააგრძელოს მსჯელობა განმცხადებლის მიმართ პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების დასაბუთებულობასთან დაკავშირებით.

პირველ რიგში, სახალხო დამცველი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის წინაპირობა მისთვის შრომითი ხელშეკრულებით ან შრომის შინაგანაწესით დაკისრებული ვალდებულების დარღვევაა. ამასთან, გათავისუფლების საფუძველი შეიძლება გახდეს არა ვალდებულებების „უბრალოდ დარღვევა“,

---

[40] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 3 თებერვლის №ას-1236-1159-2015 განჩინება.

[41] აჭარის ტელევიზიის შრომის შინაგანაწესის მე-15 მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, დისციპლინურ სანქციას დასაქმებულს შეუფარდებს დირექტორი შესაბამისი ბრძანებით.

[42] „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 35[3]-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ხელმძღვანელი ორგანოები არიან: ა) მრჩეველთა საბჭო; ბ) დირექტორი.

[43] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის შესაბამისად, ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს.

არამედ მათი „უხეში დარღვევა“, რომლის გამოკვეთისთვის აუცილებელია შეფასდეს არა მხოლოდ მოვალეობათა შეუსრულებლობის ფაქტი, არამედ გადაცდომის ხარისხი, დასაქმებულის ბრალეულობა, დარღვევის გამომწვევი და ხელშემწყობი ფაქტორები, სამართლებრივი შედეგები, რაც დარღვევას მოჰყვა და სხვ.[44]

აღნიშნული სტანდარტის საწინააღმდეგოდ, აჭარის ტელევიზიის დირექტორს, შორენა ღლონტთან დადებული შრომითი ხელშეკრულების ან მაუწყებლის შრომის შინაგანაწესის შესაბამის ნორმაზე მითითებით, დისციპლინური წარმოების არც ერთ ეტაპზე განუსაზღვრავს, თუ დაკისრებული რა მოვალეობა დაარღვია განმცხადებელმა სადავო ხელშეკრულების დადებით. ამგვარი ქმედების დარღვევად კვალიფიკაცია კიდევ უფრო ბუნდოვანია იმ პირობებში, როდესაც დისციპლინური წარმოების მასალების შესაბამისად, 2018-2019 წლებში, დონორების მიერ დაფინანსებული პროექტების ფარგლებში, მაუწყებლის თანამშრომლებთან 100-ზე მეტი ხელშეკრულება გაფორმდა, რაც ტელევიზიაში მსგავსი პრაქტიკის არსებობაზე მიუთითებს.

ამასთან, ზემოხსენებული გარემოებების მხედველობაში მიღებით, ბრძანებაში არ არის მოცემული მსჯელობა დარღვევის ხასიათის შესახებ. მათ შორის, არ არის შეფასებული შორენა ღლონტის მიერ მითითებული გარემოება, რომ სადავო ქმედება განხორციელდა ტელეკომპანიის მოქმედი დირექტორის დავალებითა და თანხმობით. მსგავსი განმარტებები აჭარის ტელევიზიის დირექტორისგან არც სახალხო დამცველის აპარატს მოწოდებია.

შორენა ღლონტის გათავისუფლების შესახებ გამოცემული ბრძანება არც დისციპლინური პასუხისმგებლობის ყველაზე მძიმე ფორმის გამოყენების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით შეიცავს განმარტებას და არ აღწერს, თუ კონკრეტულად რა გარემოებების გათვალისწინებით მოხდა მისი მიჩნევა ჩადენილი გადაცდომის პროპორციულ დასჯის მექანიზმად.

მსგავსი მიდგომა ეწინააღმდეგება შრომით სამართალში მოქმედ *Ultima Ratio*-ს პრინციპს, რაც იმას გულისხმობს, რომ დასაქმებულის გათავისუფლება გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დასაქმებულის მიმართ, მის მიერ ჩადენილი დარღვევის ხასიათიდან და სიმძიმიდან გამომდინარე, უფრო მსუბუქი სანქციის შეფარდებას აზრი აქვს დაკარგული. ამგვარი დასკვნა, თავის მხრივ, ეფუძნება პრინციპს, რომლის შესაბამისადაც, შრომით სამართლებრივი ურთიერთობის შენარჩუნებას პრიორიტეტი აქვს მის რღვევასთან შედარებით.[45] ამდენად, *Ultima Ratio*-ს პრინციპი დამსაქმებლის მხრიდან დასაქმებულის სამსახურიდან დათხოვნამდე მოითხოვს მისი ქმედების შეფასებას მიზეზშედეგობრივი თვალსაზრისით და გადაცდომის ჩადენისას გამოყენებულ უნდა იქნეს ისეთი ზომები, რომელიც არსებულ ვითარებას გამოასწორებს, გაუმჯობესებს, დასაქმებულ მუშაკს უკეთესს გახდის, კვალიფიკაციას აუმაღლებს, უფრო წინდახედულად და გულისხმიერად მოქცევას აიძულებს.[46]

ამავდროულად, საყურადღებოა დასაქმებულის უფლებების დაცვის მიზნით, შრომის სამართალი მოქმედი ე.წ. “*favor prestatoris*” პრინციპი, რაც დასაქმებულთათვის სასარგებლო წესთა უპირატესობას ნიშნავს. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, აღნიშნული პრინციპის გამოყენებისას, საჭიროა დამსაქმებლის და დასაქმებულის მოთხოვნებისა და ინტერესების წონასწორობის დაცვა სამართლიანობის, კანონიერებისა და თითოეული მათგანის ქმედების კეთილსინდისიერების კონტექსტში. დასაქმებულის გათავისუფლების საფუძვლების

---

[44] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 14 ივლისის №2ბ/6113-15 გადაწყვეტილება.
[45] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 14 ივლისის №2ბ/6113-15 გადაწყვეტილება.
[46] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 19 თებერვლის №ას-21-2020 განჩინება.

კვლევისას, მნიშვნელოვანია დადგინდეს, რა ღონისძიებები გაატარა დამსაქმებელმა, რათა უზრუნველეყო დასაქმებულისათვის დაკავებული პოზიციის შენარჩუნება.[47]

პროპორციულობის თვალსაზრისით, ბრძანება მითითებას მხოლოდ იმაზე აკეთებს, რომ შორენა ღლონტმა სადავო ქმედებით თავისი უფლებამოსილება გამოიყენა მაუწყებლის კანონიერი ინტერესების საწინააღმდეგოდ, თავისთვის გამორჩენის მიღების მიზნით, რითიც ორგანიზაციას მიადგა ზიანი. თუმცა, არ განმარტავს, კონკრეტულად რა კანონიერი ინტერესის საწინააღმდეგოდ იმოქმედა განმცხადებელმა და ამის შედეგად, რა სახის დანაკარგი განიცადა მაუწყებელმა. აღნიშნული განსაკუთრებით პრობლემურია იმ პირობებში, როდესაც დისციპლინური წარმოების ფარგლებში მიღებული ახსნა-განმარტებებით არ იკვეთება სადავო ხელშეკრულების დადებისა და გადაცემის ეთერში გასვლის შედეგად, მაუწყებლისთვის ფინანსური ზიანის მიყენების ან/და მისი საქმიანობის შეფერხების ფაქტი. ამის საწინააღმდეგოდ, აჭარის ტელევიზიის ადმინისტრაციის უფროსისგან მიღებული წერილობითი განმარტება ადასტურებს, რომ ხელშეკრულება მაუწყებელზე *„ფინანსურ გავლენას ვერ მოახდენდა“*. პასუხისმგებლობის უკიდურესი ზომის გამოყენების მიზანშეწონილობის გასამყარებლად, სახალხო დამცველის აპარატისთვის დირექტორს არც შორენა ღლონტის მიერ წარსულში ჩადენილ გადაცდომებზე მიუთითებია.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მართალია, აჭარის ტელევიზიის დირექტორის 2020 წლის 11 თებერვლის №02-26/393 წერილით, შორენა ღლონტს ეცნობა მის მიმართ მიმდინარე დისციპლინური წარმოების თაობაზე, გაეგზავნა შესაბამისი დოკუმენტაციის ასლები და მოეთხოვა ახსნა-განმარტების წარმოდგენა, თუმცა არ განხორციელებულა მისი ინფორმირება, თუ დაკისრებული რომელი მოვალეობის შესაძლო დარღვევა იყო სადავოდ გამხდარი. ამდენად, დაკავებული პოზიციიდან გათავისუფლებამდე, მას არ მინიჭებია შესაძლებლობა, შესაბამისი სამართლებრივი არგუმენტაცია დაეპირისპირებინა მის მიმართ არსებული ბრალდებებისთვის და სრულფასოვნად ესარგებლა თავის გამართლების უფლებით, რაც “დასაქმების შეწყვეტის შესახებ” შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 1982 წლის №158 კონვენციის მე-7 მუხლით არის გარანტირებული. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული კონვენცია საქართველოსთვის ძალაში არ არის, საქართველოს უზენაესი სასამართლო მასში ასახულ სტანდარტებს შრომის კანონმდებლობის და შესაბამისი სამართლებრივი მოსაზრებების განმარტების პროცესში იყენებს.[48]

2.2. მაია მერკვილაძის საქმე

აჭარის ტელევიზიის დირექტორის 2020 წლის 13 თებერვლის №02-19/431 და 19 თებერვლის №02-19/506 წერილების საფუძველზე, მრჩეველთა საბჭომ 2020 წლის 19 თებერვლის №01-01/03 გადაწვეტილებით, ახალი საშტატო განრიგი და თანამშრომელთა თანამდებობრივი სარგოები დაამტკიცა, რომლის შესაბამისადაც გაუქმდა, მათ შორის, მაია მერკვილაძის მიერ დაკავებული ახალი ამბების სამსახურის უფროსის მოადგილის პოზიცია. შედეგად, იგი გადაყვანილ იქნა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოში“ რადიოს საინფორმაციო გამოშვების რედაქტორის შტატგარეშე პოზიციაზე განუსაზღვრელი ვადით.

საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კონკრეტული თანამდებობიდან პირის გათავისუფლება დასაშვებია, მათ შორის, ორგანიზაციული ცვლილებების გათვალისწინებით, რაც აუცილებელს ხდის სამუშაო ძალის შემცირებას.[49]

---

[47] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 29 იანვრის №ას-941-891-2015 განჩინება.

[48] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 11 ოქტომბრის №ას-864-831-2016 გადაწყვეტილება.

[49] საქართველოს შრომის კოდექსი, მუხლი 37, ნაწილი 1, „ა“ ქვეპუნქტი.

აღსანიშნავია, რომ რეორგანიზაცია არ წარმოადგენს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის ფორმალურ საფუძველს და დაუშვებელია, მიმდინარე სტრუქტურული ან/და ორგანიზაციული ცვლილებები უმართებულო გადაწყვეტილების მიღების კანონიერ საფუძვლად იქცეს, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგება დასაქმებულთა უფლებებს.[50] ამასთან, საწინააღმდეგო მიდგომის გატარებით შესაძლოა, ე.წ. „რეორგანიზაციის“ საფუძვლით პირის სამსახურიდან გაშვების დისკრიმინაციული მოტივები დაიფაროს[51] და მოხდეს არასასურველი დაქირავებულების თავიდან მოშორება. ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე *Baka v. Hungary*, რომელშიც სასამართლომ მიუთითა, რომ ფორმალური რეორგანიზაციის საფუძვლით საჯარო მოხელის თანამდებობიდან გათავისუფლების რეალურ მიზეზს მის მიერ გამოთქმული მოსაზრებები წარმოადგენდა და დაადგინა განმცხადებლის მიმართ უფლებადარღვევის განხორციელების ფაქტი.[52] ამდენად, თუნდაც ზემოხსენებული ნორმით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობისას, სახეზე უნდა იყოს პირის გათავისუფლების გონივრული საფუძველი.[53]

აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, პირის თანამდებობიდან გათავისუფლების დროს, დასაქმებული ვალდებულია დაასაბუთოს შემდეგი გარემოებები: ა) საწარმოო აუცილებლობა, რომელიც შესაძლოა, ლეგიტიმურ მიზანს წარმოადგენდეს რეორგანიზაციისა თუ შტატების შემცირებისთვის; ბ) რეორგანიზაციისა და შტატების შემცირების ფაქტობრივი განხორციელებისა და მისი კანონთან შესაბამისობის საკითხი, რაც გამორიცხავს თვალთმაქცური რეორგანიზაციის განხორციელების ფაქტს.[54]

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მითითებით, დასაქმებულის სამუშაოდან გათავისუფლების საფუძველი შეიძლება გახდეს საწარმოში განხორციელებული არა ყოველგვარი, არამედ ისეთი რეორგანიზაცია, რომელსაც თან სდევს შტატების შემცირება ან ახალი საშტატო ნუსხით გათვალისწინებული თანამდებობებისთვის დაწესებული ისეთი ფუნქციები, რომლებიც არსებითად განსხვავდება რეორგანიზაციამდე არსებული შესაბამისი თანამდებობისთვის დაწესებული ფუნქციებისგან.[55] თავის მხრივ, საშტატო ერთეულისთვის სახელწოდების შეცვლა არ წარმოადგენს საფუძველს იმ ფაქტობრივი გარემოების დადგენილად მიჩნევისთვის, რომ აღარ არსებობს საშტატო ერთეული.[56]

განსახილველ შემთხვევაში, რეორგანიზაციის განხორციელების მიზნად აჭარის ტელევიზიის დირექტორმა მიუთითა ეფექტური მართვის სისტემის ჩამოყალიბება, თუმცა მისი მხრიდან არ მომხდარა განმარტება ან/და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენა, თუ რა განსხვავებული უფლებამოსილებებით აღიჭურვებოდნენ ახლად შექმნილი კადრები, რაც შეუძლებელს ხდის მსგავსი არგუმენტის სარწმუნოობის შეფასებას.

აღსანიშნავია, რომ რაიმე სახის საწარმოო აუცილებლობის არსებობა და შტატების შემცირება არ იკვეთება რეორგანიზაციის შედეგად ახალი ამბების სამსახურის უფროსის მოადგილის შტატის გაუქმების ნაწილში, რამდენადაც ახალი საშტატო განრიგით იმავე სამსახურში გაჩნდა

---

[50] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 4 ოქტომბრის №ას-365-2019 განჩინება.
[51] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 3 დეკემბრის №2ბ/4238-13 გადაწყვეტილება.
[52] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე *Baka v. Hungary*.
[53] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 4 ოქტომბრის №ას-365-2019 განჩინება.
[54] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 22 თებერვლის №ას-1329-2018 განჩინება.
[55] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 9 დეკემბრის №as-665-636-2016 განჩინება.
[56] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 3 დეკემბრის №2ბ/4238-13 გადაწყვეტილება.

რედაქტორის პოზიცია, რომლის მიმართაც არსებითად მსგავსი მოვალეობები განისაზღვრა (იხ. წინამდებარე დოკუმენტის 1.2. ქვეთავი).

ამდენად, მრჩეველთა საბჭოს 2020 წლის 19 თებერვლის №01-01/03 გადაწვეტილებით განხორციელებული საშტატო ცვლილებები არ ქმნიდა დაკავებული თანამდებობიდან მაია მერკვილაძის გათავისუფლების საფუძველს, რამდენადაც მისი შტატი არ გაუქმებულა და საშტატო განრიგში რედაქტორის სახელით დარჩა.

მიუხედავად ამისა, რეორგანიზაციის შედეგად, დირექტორმა მაია მერკვილაძეს აცნობა მისი თანამდებობის გაუქმების შესახებ და ორ განსხვავებულ, არატოლფას პოზიციაზე შესთავაზა დასაქმება (იხ. წინამდებარე დოკუმენტის 1.2. ქვეთავი). საქმისწარმოების ფარგლებში მიღებული დოკუმენტაციის ანალიზი ცხადყოფს, რომ მოცემულ ეტაპზე, მაია მერკვილაძე არ იყო ინფორმირებული რეორგანიზაციის შედეგად, მის მიერ დაკავებული თანამდებობისთვის განსაზღვრული ფუნქციების ახლადშექმნილი რედაქტორის პოზიციისთვის გადაცემის შესახებ, რაც მას განხორციელებული ორგანიზაციული ცვლილებების საფუძველზე, მისი საშტატო ერთეულის გაუქმებისა და შედეგად, სამსახურიდან დათხოვნის მოლოდინს უქმნიდა. შედეგად, მან მიღებულ შეთავაზებებზე განაცხადა თანხმობა და აჭარის ტელევიზიის დირექტორის 2020 წლის 25 თებერვლის №02-05/16 ბრძანებით, გადაყვანილ იქნა რადიოს საინფორმაციო გამოშვების რედაქტორის შტატგარეშე პოზიციაზე. აღნიშნულმა განაპირობა მისი უფლებამოსილების არსებითი შეცვლა და მაუწყებლის ტელეეთერში განსათავსებელი პროდუქტისგან მისი ჩამოშორება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სახალხო დამცველის შეფასებით, ახალი ამბების სამსახურში განხორციელებული რეორგანიზაცია, რომელსაც არც შტატების შემცირება მოჰყოლია და არც დასაქმებული პირის მიმართ გათვალისწინებული მოვალეობების ცვლილება,[57] არ ქმნიდა დაკავებული თანამდებობიდან მაია მერკვილაძის გათავისუფლების/გადაყვანის კანონიერ საფუძველს. აღნიშნულის გათვალისწინებით, მაია მერკვილაძის სხვა თანამდებობაზე გადაყვანა უფლების ბოროტად გამოყენებას უტოლდება, რაც აკრძალულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად.[58]

ამ თვალსაზრისით, საყურადღებოა, რომ შრომით ურთიერთობებში აშკარად გამოკვეთილია დამსაქმებლის უპირატესი მდგომარეობა „სუსტ“ მხარესთან - დასაქმებულთან შედარებით, რაც უდავოდ იწვევს „ძლიერი“ მხარის მიერ თავისი უფლებების გადამეტებულად, მეორე მხარის საზიანოდ გამოყენების საშიშროებას.[59] სწორედ ამგვარ “უთანასწორობაში” ბალანსის აღდგენასა და დაცვას ემსახურება შრომის კოდექსი, რომელიც, საერთაშორისო კანონმდებლობისა და საქართველოს კონსტიტუციის ნორმების ურთიერთშეჯერებით, ადგენს დაქირავებულის უფლებათა დაცვის სტანდარტებს.

2.3. თეონა ბაკურიძის საქმე

2020 წლის 6 მარტს, ამავე დღეს დაწყებული დისციპლინური წარმოების ფარგლებში, აჭარის ტელევიზიის დირექტორმა, №02-05/27 ბრძანების საფუძველზე, ახალი ამბების სამსახურის გამოშვების წამყვან-რეპორტიორ თეონა ბაკურიძეს 2020 წლის 9 მარტიდან დროებით აუკრძალა

---

[57] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 3 დეკემბრის №2ბ/4238-13 გადაწყვეტილება.
[58] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 115.
[59] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 11 ოქტომბრის №ას-397-370-2010 განჩინება.

შრომითი ხელშეკრულებით გაწერილი კონკრეტული საქმიანობის განხორციელება და ჩამოაშორა ტელევიზიის ეთერს.

აჭარის ტელევიზიის შრომის შინაგანაწესის მე-15 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, კონკრეტულ საქმიანობასთან დაკავშირებით დასაქმებულის დაშვების შეზღუდვა დისციპლინური სანქციის სახეს წარმოადგენს, რომლის გამოყენებაც დირექტორს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში შეუძლია.

განსახილველ შემთხვევაში, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება განაპირობა 2020 წლის 6 მარტს საინფორმაციო სამსახურის ოთახში მომხდარი ინციდენტისას, თეონა ბაკურიძის მიერ განხორციელებულმა ქმედებებმა, რაც დირექტორის მიერ შეფასდა, როგორც დაუმორჩილებლობა, სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობა, ზეწოლისა და ფსიქოლოგიური იძულების განხორციელება გიორგი აბაზაძის მიმართ, რათა მას განცხადების საფუძველზე დაეტოვებინა პოზიცია.

გასათვალისწინებელია, რომ თეონა ბაკურიძის მხრიდან ზემოხსენებული ქმედებების განხორციელებისა და შესაბამისად, შრომის დისციპლინის დარღვევის დასადასტურებლად, დირექტორმა მხოლოდ ფირუზ ბოლქვაძისა და ლალი ბერძენიშვილის მიერ ამავე დღეს მრჩეველთა საბჭოს სხდომაზე გაკეთებული განმარტებები მიუთითა. როგორც აღინიშნა, რომ ხსენებულ პირებს არ დაუსახელებიათ ინციდენტში მონაწილე შესაძლო დარღვევის ჩამდენი თანამშრომლების ვინაობა და ამდენად, მათი საჯარო განცხადებები არ ქმნიდნენ საკმარის საფუძველს თეონა ბაკურიძის მხრიდან გადაცდომის დასადასტურებლად მით უფრო, იმ პირობებში, როდესაც დისციპლინური სანქციის გამოყენებამდე, არ მომხდარა გარემოებათა სათანადო გამოკვლევა ინციდენტში მონაწილე სხვა თანამშრომლების და უმთავრესად, თეონა ბაკურიძის, გამოკითხვის გზით.

რაც შეეხება იდენტიფიცირებად პირთან (კერძოდ, თეონა ბაკურიძეზესთან) დაკავშირებით, ფირუზ ბოლქვაძის მიერ გაკეთებულ განცხადებას, აღნიშნული მხოლოდ შესაძლო დაუმორჩილებლობის თაობაზე მიუთითებს და არ ქმნის ბრძანებაში ასახული სხვა ბრალდებების საფუძველს.

გარდა ამისა, №02-05/27 ბრძანებაში დირექტორს არ განუმარტავს, თუ რაში გამოიხატებოდა „განსაკუთრებული შემთხვევა“, რომლის საფუძველზეც, მას შრომის შინაგანაწესის მე-15 მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული დისციპლინური სანქციის გამოყენების შესაძლებლობა ეძლეოდა. მოთხოვნის მიუხედავად, დირექტორს არც სახალხო დამცველის აპარატისთვის განუმარტავს, რა გარემოების გათვალისწინებით იქნა მიჩნეული მიზანშეწონილად თეონა ბაკურიძისთვის კონკრეტული საქმიანობის აკრძალვა და ტელევიზიის ეთერიდან მისი ჩამოშორება და რა მიზანს ემსახურებოდა აღნიშნული ღონისძიების გამოყენება.[60]

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, №02-05/27 ბრძანების გამოცემისას შესაბამისი მტკიცებულებებით არ დასტურდებოდა თეონა ბაკურიძის მიერ გადაცდომის ჩადენის ფაქტი, ისევე, როგორც მიმართ შრომის შინაგანაწესის მე-15 მუხლის მე-5 ნაწილით დისციპლინური სანქციის გამოყენების წინაპირობა, მიზანი და თანაზომიერება.

მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით, მასში ჩართული პირების წერილობითი განმარტებები დირექტორს, ზემოხსენებული გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, 11-13 მარტს წარედგინა.

---

[60] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2020 წლის 12 მარტის №04-2/2869 წერილი.

შედეგად, მიმდინარე დისციპლინური წარმოება დასრულდა №02-05/29 ბრძანების გამოცემით, რომლის საფუძველზეც თეონა ბაკურიძის მიმართ იმავე ინციდენტის ფარგლებში განხორციელებული ქმედებებისთვის (რომელთა ნაწილიც იდენტურად იქნა აღწერილი) გამოყენებულ იქნა მეორე დისციპლინური სანქცია - სამსახურიდან დათხოვნა.

კერძოდ, ბრძანების შესაბამისად, თეონა ბაკურიძის მიერ ხელშეკრულებისა და შრომის შინაგანაწესის პირობების აშკარა უხეში დარღვევა გამოიხატა შემდეგ გარემოებებში: მან შეურაცხმყოფელი და დამამცირებელი სიტყვებით მიმართა სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს, ხელი შეუშალა მას სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაში, ასაკობრივი ნიშნით შებღალა მისი ღირსება და პატივი, აბუჩად აიგდო, აპელირებდა, რომ დაიკავა სხვისი პოზიცია, ადანაშაულებდა თანამშრომლების სამსახურიდან დათხოვნის განზრახვაში, აცხადებდა, რომ არ შეასრულებდა სამსახურის უფროსისა და რედაქტორის მითითებებს, წინასწარი განზრახვით თავს აარიდებდა მოვალეობის შესრულებას. გარდა ამისა, ბრძანებაში აღნიშნულია, რომ თეონა ბაკურიძე მიზანმიმართულად აიგნორებდა რედაქტორის მითითებებს, ქმნიდა დაძაბულობას და კონფლიქტურ სიტუაციას, რაც საფრთხის ქვეშ აყენებდა საინფორმაციო სამსახურის გამართულ მუშაობას, მისი მხრიდან ადგილი ჰქონდა ფსიქოლოგიურ ზეწოლას გიორგი აბაზაძესა და ფირუზ ბოლქვაძეზე და მათ აშკარა ბულინგს/მობინგს, რამაც გამოიწვია აბაზაძის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება.

აჭარის ტელევიზიის შრომის შინაგანაწესის მე-15 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, დაუშვებელია ერთი და იმავე დარღვევისთვის დასაქმებულის მიმართ გამოყენებულ იქნეს ერთდროულად ერთზე მეტი დისციპლინური სანქცია. ამავე ნორმის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ ერთი სამუშაო დღის (სამუშაო ცვლის) განმავლობაში დასაქმებული ჩაიდენს ორ ან მეტ დისციპლინურ დარღვევას, ჩადენილი დარღვევების სიმძიმის გათვალისწინებით, მის მიმართ გამოყენებული იქნება 15.3 პუნქტში აღნიშნული ერთ-ერთი დისციპლინური სანქცია. გასათვალისწინებელია, რომ ერთი გადაცდომისათვის ერთდროულად ორი დისციპლინური სახდელის შეფარდება ეწინააღმდეგება თავად მისი გამოყენების მიზანს, რამდენადაც ამ დროს დასაქმებულს არ ეძლევა საშუალება, გამოასწოროს დაშვებული გადაცდომა.[61]

აღნიშნულის გათვალისწინებით, განსახილველ შემთხვევაში, თეონა ბაკურიძეს დისციპლინური სანქციის სახით სამსახურიდან გათავისუფლება შეეფარდა შრომის შინაგანაწესის მოთხოვნათა დარღვევით, რაც №02-05/29 ბრძანების ბათილობის საფუძველს წარმოადგენს.

მიუხედავად ამისა, სახალხო დამცველი მიზანშეწონილად მიიჩნევს, გააგრძელოს მსჯელობა თეონა ბაკურიძის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის უკიდურესი ზომის - სამსახურიდან დათხოვნის გამოყენების დასაბუთებულობასთან დაკავშირებით, რომლის შეფასებისთვისაც იხელმძღვანელებს წინამდებარე დოკუმენტის 2. და 2.1. ქვეთავებში ასახული სტანდარტებით.

პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ შესაბამისი მტკიცებულებებით უტყუარად არ დასტურდება თეონა ბაკურიძის მიერ №02-05/29 ბრძანებაში მითითებული ცალკეული ქმედებების ჩადენის ფაქტი. ამ თვალსაზრისით, საყურადღებოა ის გარემოება, რომ უშუალოდ თეონა ბაკურიძის ქმედებების აღწერას მხოლოდ მისი, ომარ ბერიძისა და გიორგი აბაზაძის მიერ წარმოდგენილი განცხადებები შეიცავენ, დანარჩენ პირთა განმარტებებში კი საუბარია ინციდენტის მიმდინარეობის და აღნიშნულ პროცესში მათი პირადი ჩართულობის შესახებ. არცერთი

[61] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 29 სექტემბრის №ას-654-610-2017 განჩინება.

დასახელებული ახსნა-განმარტება არ ადასტურებს, რომ თეონა ბაკურიძე ახალი ამბების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს სხვისი პოზიციის დაკავებაზე მიუთითებდა და მას თანამშრომლების სამსახურიდან დათხოვნის განზრახვაში ადანაშაულებდა. აღნიშნულთან დაკავშირებით, გიორგი აბაზაძე განმარტავს, რომ მსგავსი განცხადებები რამდენიმე თანამშრომლისგან ესმოდა, რომელთა შორის არ ასახელებს ბაკურიძეს.

ამასთან, თეონა ბაკურიძის, გიორგი აბაზაძისა და ფირუზ ბოლქვაძის განმარტებები ურთიერთსაწინააღმდეგოა დაუმორჩილებლობისა და დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობის შესახებ ბაკურიძის მიმართ წაყენებულ ბრალდებასთან დაკავშირებით. ამ კუთხით, აგრეთვე საყურადღებოა 2020 წლის 6 მარტს, მრჩეველთა საბჭოს სხდომის მიმდინარეობისას, ფირუზ ბოლქვაძის მიერ გაკეთებული განცხადება, რომ 29 თებერვლიდან, როდესაც იგი რედაქტორის პოზიციაზე დაინიშნა, არაერთი წინააღმდეგობა შეხვდა თანამშრომლების მხრიდან, რის გამოც, თანამშრომლობის კონსტრუქციულად წარმართვის მიზნით, მან საწყის ეტაპზე, საკუთარი ინიციატივით, უარი განაცხადა დაკისრებული მოვალეობების ნაწილის შესრულებაზე.[62] საქმისწარმოების ფარგლებში მიღებული დოკუმენტაციით არ დასტურდება, რომ მიმდინარე მოკვლევის ფარგლებში, შეფასება მიეცა ზემოხსენებულ გარემოებებს, მათ შორის, იმ ფაქტს, თუ მასზე დაკისრებულ რა სახის მოვალეობებს არ ასრულებდა რედაქტორი, რა პერიოდის განმავლობაში გრძელდებოდა აღნიშნული ქცევა და რა გავლენა შეიძლება ჰქონოდა მას თეონა ბაკურიძის მიმართ გაჟღერებულ ბრალდებასთან მიმართებით.

მითითებული გარემოება განსაკუთრებით საყურადღებოა თეონა ბაკურიძის მიერ გაკეთებული განმარტებების ფონზე, რომლის თანახმადაც, 2020 წლის 5 მარტს მან ფირუზ ბოლქვაძესთან ერთად იმუშავა გამოშვების მომზადებაზე (რაც აგრეთვე დასტურდება რედაქტორის მიერ მრჩეველთა საბჭოს სხდომაზე გაჟღერებული განცხადებებით), ხოლო მომდევნო დღეს, მისგან და გიორგი აბაზაძისგან რაიმე სახის დავალება არ მიუღია. აღსანიშნავია ისიც, რომ საქმისწარმოების ფარგლებში შესწავლილი მასალის ანალიზის საფუძველზე, იკვეთება 2020 წლის 6 მარტს ბაკურიძის მხრიდან მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებისა და მთავარი საინფორმაციო გადაცემის წაყვანის ფაქტი.[63]

გარდა ამისა, თეონა ბაკურიძის ქმედებების უხეშ დარღვევად შეფასებისას, დირექტორის მიერ შეფასება არ მისცემია გადაცდომის გამომწვევ და ხელშემწყობ ფაქტორებს, რომელთან დაკავშირებითაც არაერთმა თანამშრომელმა გააკეთა განმარტება. მათ შორის, ჟურნალისტები მიუთითებდნენ ბოლო პერიოდის განმავლობაში ტელევიზიაში არსებულ სტრესულ გარემოზე და მის შედეგად, თანამშრომელთა ნაწილის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების ფაქტებზე, რასაც, მათივე განმარტებით, ადგილი ჰქონდა 2020 წლის 6 მარტსაც.

გამოცემული ბრძანება არც დისციპლინური პასუხისმგებლობის ყველაზე მძიმე ფორმის გამოყენების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით აკეთებს სათანადო განმარტებებს.

კერძოდ, სადავო ბრძანების შესაბამისად, თეონა ბაკურიძის ქმედებები საფრთხის ქვეშ აყენებდა საინფორმაციო სამსახურის გამართულ მუშაობას, თუმცა დოკუმენტი არ აკონკრეტებს, დადგა თუ არა საზიანო შედეგი და ხელი შეეშალა თუ არა მაუწყებლის საქმიანობას 6 მარტს მომხდარი ინციდენტის შედეგად. აღნიშნული განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს იმ პირობებში,

---

[62] იხ. აჭარის ტელევიზიის მრჩეველთა საბჭოს 2020 წლის 6 მარტის სხდომის ჩანაწერი 1:26:00-1:30:00 წთ., ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://www.youtube.com/watch?v=czHbHKweWzQ> [ბოლოს ნანახია: 14.04.2020].
[63] სიუჟეტი ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <http://adjaratv.ge/article/56347> [ბოლოს ნანახია: 14.04.2020].

როდესაც 6 მარტს ეთერში გავიდა 8-საათიანი საინფორმაციო გამოშვება, რომელსაც თეონა ბაკურიძე უძღვებოდა.[64]

გარდა ამისა, სადავო ბრძანებაში აღნიშნულია, რომ თეონა ბაკურიძის მხრიდან განხორციელებულმა ფსიქოლოგიურმა ზეწოლამ და აშკარა ბულინგმა გამოიწვია გიორგი აბაზაძის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება (საჭირო გახდა სამედიცინო დახმარების ბრიგადის გამოძახება და მისი სტაციონარში გადაყვანა შემდგომი მკურნალობისა და დაკვირვების მიზნით). თუმცა, მსგავსი დასკვნა არ არის გამყარებული შესაბამისი მტკიცებულებებით.

გასათვალისწინებელია, რომ ამგვარი მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა შექმნილ ვითარებაში განსაკუთრებით რთულია. აღნიშნულს განაპირობებს ინციდენტში მონაწილე პირების სიმრავლე, ასევე თეონა ბაკურიძის მიერ განხორციელებული ქმედებების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის არარსებობა, რაც მისი ბრალეულობის ხარისხის შეფასებას შეუძლებელს ხდის. გარდა ამისა, დისციპლინური საქმის მასალების უმეტესი ნაწილი მიუთითებს, რომ 2020 წლის 6 მაისს გიორგი აბაზაძის მიერ საინფორმაციო სამსახურის ოთახის დატოვებამდე, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, არსებული დაძაბული ვითარება შედარებით მშვიდი იყო და თანამშრომლებს შორის მიმდინარეობდა დიალოგი, ახალი ამბების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება კი აღნიშნული კომუნიკაციის მყისიერი შედეგი არ ყოფილა. ამასთან, არ არსებობს საკმარისი საფუძველი იმის გაცხადებისთვის, რომ თეონა ბაკურიძეს უნდა ევარაუდა ან შეეძლო ევარაუდა იმ შედეგის მოსალოდნელობა, რაც კონკრეტულ შემთხვევაში დადგა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სახალხო დამცველის შეფასებით, თეონა ბაკურიძეს ერთი და იმავე დარღვევისთვის ორჯერ შეეფარდა დისციპლინური სანქცია, რაც წინააღმდეგობაში მოდის მაუწყებლის შრომის შინაგანაწესის მოთხოვნებთან და შრომის სამართალში მოქმედ პრინციპებთან. შესაბამისად, პირველი სანქციის გამოყენების შემდეგ აღარ არსებობდა იგივე ქმედებასთან დაკავშირებით მეორე წარმოების დაწყების საფუძველი. გარდა ამისა, არ დასტურდება მის მიმართ, ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის საპასუხოდ, პასუხისმგებლობის უკიდურესი ზომის გამოყენების საფუძვლიანობა და პროპორციულობა. მათ შორის, ბრძანება არ შეიცავს დასაბუთებას იმასთან დაკავშირებით, თუ რა გარემოებების გათვალისწინებით არ უზრუნველყოფდა მოცემულ შემთხვევაში დასაქმებულისთვის შედარებით მსუბუქი დისციპლინური სანქციის დაკისრება მისი გამოყენების მიზანს. საგულისხმოა ისიც, რომ გამოყენებული ზომის მიზანშეწონილობის გასამყარებლად, სახალხო დამცველის აპარატისთვის დირექტორს არც ბაკურიძის მიერ წარსულში ჩადენილ გადაცდომებზე მიუთითებია.

3. დასკვნა:

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მაუწყებელში დაკავებული პირვანდელი პოზიციებიდან შორენა ღლონტის, მაია მერკვილაძისა და თეონა ბაკურიძის გათავისუფლება/გადაყვანა მოხდა კანონის მოთხოვნათა დარღვევით, რაც წარმოშობს აჭარის ტელევიზიის დირექტორის 2020 წლის 28 თებერვლის №02-05/20, 25 თებერვლის №02-05/16 და 13 მარტის №02-05/29 ბრძანებების ბათილობისა და საქართველოს შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებული საპასუხო რესტიტუციის ღონისძიების გამოყენების წინაპირობას.

ამდენად, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მოგმართავთ რეკომენდაციით, იმსჯელოთ მითითებული

[64] ჩანაწერის საწყისი ნაწილი ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/3cbA65S> [ბოლოს ნანახია: 14.04.2020].

პირების პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღდგენის ან მათი ტოლფასი სამუშაოთი უზრუნველყოფის და შესაბამისი განაცდურის ანაზღაურების (საჭიროების შემთხვევაში) ან მათთვის სათანადო კომპენსაციის გადახდის თაობაზე, რომელიც უზრუნველყოფს უფლებადარღვევის შედეგად მიყენებული ზიანის სამართლიან ანაზღაურებას.

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით გატარებული ღონისძიებების თაობაზე, გთხოვთ, სახალხო დამცველის აპარატს აცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,

ნინო ლომჯარია

სახალხო დამცველი

.